№ 166
შაბათი, 5 აგვისტო 1895

1877—1895

# ივერია

№ 166
შაბათი, 5 აგვისტო 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 70 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 55 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**გამგეობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა** ამით აცხადებს, რომ 9 აგვისტოს 1895 წ., დღის 12 საათზე ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ მოხდება საჯარო ვაჭრობით გასყიდვა ალექსანდრე და ვლადიმირ სტეფანეს ძე კლიუჩაროვების უძრავის ქონებისა, რომელიც ბანკს დარჩა, რადგანაც ვაჭრობით ვერ იქმნა გასყიდული და იმყოფება ქ. ბათუმს, „ნურიას“ ნაწილში, სმეკალოვსკისა და კამაროვსკის ქუჩედზე; უძრაი ქონება შესდგება სამის ორ-სართულიან სახლისგან, რომელთაგანსაც ერთს სარდაფიცა აქვს და ერთ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით სამასი ოთხკუთხი საჟ., შემდეგს საზღვრებში: აღმოსავლეთით სუკაიანის ნაწილი, ჩრდილოეთით—კომაროვსკის ქუჩა, დასავლეთით—სმეკალოვსკის ქუჩა და სამხრეთით მაჭავარიანის მამული. მამულზედ ირიცხება სათანხო ვალი 18,500 მან. 66 კ. და ნედოიმკები 1078 მან 30 კაპ. ვაჭრობა 19,578 მან. 96 კ.—იდამ დაიწყება. ბანკის სათანხო ვალი ამავე ბანკის გირავნობის ფურცლებით შეიძლება გაუქმდეს მანეთზედ მანეთი მათის ნამდვილის ღირებულებისა და აგრეთვე, ბანკის თანხმობით, შეიძლება ვალი მსყიდველზედ იქმნას გადატანილი; ხოლო სავალო შესატანი გარდასახადი და სხვა ნედოიმკები ნაღდ ფულად უნდა იქმნას ბანკში წარდგენილი.

(3—6—3).

# ახალი ამბავი

—

*** სოფელი ჯიხაიში სრულებით უექიმოდ დარჩენილა. ამდენს ხანს აქ სცხოვრებდა ორი ექიმი—ვაშაკიძე და ლორთქიფანიძე, მაგრამ ორივეს სამსახური უშოვნია და გამოცლიან სოფელს. ახლა ძალიან შეწუხებულია სოფელი; გაიძახიან, ოღონდ ვინმე მოვიდეს, იცხოვროს აქ და ათას მანეთს მივცემთ, თორემ ხონიდგან და სხვა ადგილიდგან ექიმის მოყვანა ძვირათაც გვიჯდება და დროზედაც ვერ მოგვასწრებსო.

*** ზუგდიდი: ივლისის 27, 28 და 29 რიცხვებში საშინელი აღმოსავლეთის ცხელი ქარი ქროდა, ჩრდილში სიცხე რეომიურით 35.⁰ ავიდა. სიცხე და ქარმა დიდი ზარალი მიაყენა სიმინდს. ყურძენი მთლად ჩამორეკა. ხოლო ოც-და-ცხრა ივლისს შუაღამიდგან ატყდა საშინელი ელვა ჭექა-ქუხილი, წვიმა, დასავლეთიდგან გრიგალი მოვარდა, სიმინდი თივასავით გააწვინა მიწაზედ, ხეხილით დახუნძლული ხეები ძირში, ზოგი შუაზედ გადატეხა. ცა და დედამიწა ელვარებდა და ინძრეოდა. სამ-ოთხ ალაგას ს. ხეთაში მეხი ჩამოვარდა, მაგრამ უბედურება არა მომხდარა-რა. 30 ივლისს სეტყვა მოვიდა. წვიმს, დასავლეთიდგან ძლიერი ქარი ჰქრის.

*** დ. ძველი სენაკი: პირველ აგვისტოდგან იარმუკობა დაიწყო; დიდძალი მოვაჭრეები მოდიან სხვა-და-სხვა დაბა-ქალაქებიდგან. როგორი ვაჭრობა იქნება, ეს ჯერ არ ვიცით; ფულის სიძვირის ხმა დადის. გვალვამ ჭირნახული დააზიანა. ივლისის განმავლობაში გამუდმებული სიცხე-პაპანაქება იდგა ჩვენში.

*** ქ-ნ საფაროვ-აბაშიძისას და ვ. აბაშიძეს სამი წარმოდგენა გაუმართავთ ბორჯომში. ერთს წარმოდგენას ხალხი ძალიან ბევრი დასწრებია და წარმოდგენასაც კარგად ჩაუვლია. კორესპონდენტის სიტყვით, ნახევარი შემოსავალი სტუდენტების სასარგებლოდ გადაუდვიათ. საზოგადოდ ბორჯომში წელს მეტად არეული მეაგარაკენი არიანო. ქართველი საზოგადოებაც ყველაზედ ნაკლებად მოგროვილა, ამისათვის არტისტები ნუ დაგვემდურებიან, თუ მათ წარმოდგენებზედ ხალხიც ნაკლებად იყოო.

*** დ. სამტრედია: დიდად ვშიშობდით, გვეგონა ეგ არის გვალვამ მოსავალი ხელიდამ გამოგვაცალაო, მაგრამ გვიბრალა ღმერთმა და გვეღირსა წვიმა. ყანები მოცოცხლდა; იმედია კარგს ჭირნახულს ავკრეფავთ წელს.

ამ სასიამოვნო ამბავთან ერთი ჭირი გვეწვია. მცხოვრებთ, უმეტესად ბავშვებს, დაერია რაღაც ავადმყოფობა მუცლას მზგავსი.

ამ სენთან სხვა სენსაც უნდა მოველოდეთ, რადგან ჩვენი დაბა ნამდვილი უწმინდურების ბუდეა!

*** პატარა ლიახვის ხეობიდგან გვატყობინებენ, რომ ეკკლესია დაგვეკეტა და წირვა-ლოცვას მოკლებული ვართო. კორესპონდენტი გაკვირვებულია, ვისი ბრალი უნდა იყოს ამისთანა ამბავიო?

*** ოზურგეთი: 31 ივლისს დუქანში მძიმედ დასჭრეს ორმა ახალგაზდამ ერთი მუშა. ბოროტ-მომქმედნი შეიპყრეს.

*** დ. ყვირილა: გაგვიჭირა საქმე ამ სიცხე-პაპანაქებაში ჩვენმა დაბის უსუფთაობამ. დუქნების წინ ქებია ამოთხრილი. ამ ქებს მედუქნეები აქცევენ, ჰყრიან შიგ ნაგავს, ნაგავი ლპება და ჰაერი იწამლება აშმორებული სუნით. გვიკვირს, რატომ აქაური ადმინისტრაცია არასა ზრუნავს დაბის დასასუფთავებლად.

*** ს. კულაში: მშვენიერი თოთხმეტ-ოთახიანი სკოლა შენდება. თითქმის 20,000 მანეთამდის უჯდება სოფელს ეს სკოლა და აგერ ექვსი თვეა, რაც შენობა დაიწყეს, კედლები ამოიყვანეს და ჯერ-კი არხიტექტორს არ უნახავს. რა-კი კულაშის საზოგადოება ეგრე უხვად იღებს წვლილს ამ სკოლისათვის, თუ გაკეთდება, ბარემ მაგრად და მჭიდროდ გაკეთდეს შენობა და არხი-

# ფელეტონი

—

## ხიმღერა.

როგორ საშინლად ბნელოდა,
როგორ ძალიან ელავდა,
სასაფლაოზე ატეხილს
შამბ-ნარს წითლადა ჰფერავდა,
ცა იქცეოდა და მიწა
თავისთვის სუდარს ჰკერავდა,
სამყაროს ნგრევას ეშმაკი
გახარებული ჰხვერავდა.
ღამის წყვდიადში კისკისი
მისი აკრთობდა ყველასა
და კაცნიც სასო-მიხდილნი
ღმერთს აღარ სთხოვდნენ შველასა;
შავი ღვარები ჰღვარავდა
იმათ სახლსა და კერასა,
ძმა რომ ძმას თვალეპსა სთხრიდა,
იტყოდნენ „არაფერასა“.

ვაჟა-ფშაველა.

—◆◆—

## ს უ რ ა თ ი

სოფლის ცხოვრებიდგან.

(დასასრული *).

გოგო ტასა, როგორც ბატონის ოჯახში გაზრდილი, მალე გამოიცვალა. და გამოიცვალა იმიტომ, რომ მისთვის აუტანელი შეიქმნა სოფლის ცხოვრება, რომელიც ჯაფა და წვალების მეტი არა არის-რა. რომ არ ეშრომნა, ეს კიდევ შეუძლებელი იყო, რადგანაც სიცოცხლე უნდოდათ და სიცოცხლის განსაგრძობად კიდევ კუჭის საზრდო იყო საჭირო.

მართალია ტასა, როგორც ახალი რძალი, პირველად მხარს უჭერდა თავისს მაზლის ცოლებს, მაგრამ შემდეგ-კი მოსწყინდა მუდმივი შრომა. თუმცა ბატონის სახლშიაც მთელი დღე ფეხზედ ალამებდა, მაგრამ იქაური შრომა და სოფლისა სულ სხვა-და-სხვა იყო. ბატონის სახლში მისს შრომას შეადგენდა ხელზედ სამსახური. მთელი დღე ფეხზედ უნდა ყოფილიყო, თავისს ბატონ-ქალბატონიათვის თვალ-წარბში ეცქირნა და როცა რამეს უბრძანებდნენ თვალის დახამხამებაზედ აესრულებინა. „გოგო, ჩიბუხი მომიტანე, დაიღრიალებდა ხოლმე ქალარა შერთული ბატონი და ტასაც სამ-ადლიან ჩიბუხით ხელში უმალვე იქ უნდა გაჩენილიყო. გოგო სარკე-სავარცხელი მომართვი—დასჭყივლებდა მისი ქალბატონი, რომელიც მთელი დღე სულ სარკეში იყურებოდა და შიგ ჭრელ ქალარას იგლეჯდა—გოგო „სამოვარი“ დასდგი, გოგო სახლი დაგავე და სხვა ამისთანები.

დიაღ, გოგო ტასა მთელი დღე ფეხზედ იდგა ხოლმე, მაგრამ მშვენიერი საჭმელ-სასმელი და სუფთა ჩაცმა-დახურვა შრომას უადვილებდა.

თავისს ქმრის სახლში-კი ყველაფერი მალე მოაკლდა. გემრიელი მოხრაკულები ჭად-პურაზედ შეეცვალა, ქალბატონის გამონატანი ტანსაცმელი მალე გაუხუნდა და პირის პირ შეეტაკა იმ სილატაკეს, რომელიც სხვა-და-სხვა გარემოებისა გამო, დაბუდებულია ჩვენის გლეხის ოჯახში. სილატაკესთან საბრძოლველად მუდმივი შრომა იყო საჭირო, შრომა მძიმე და აუტანელი. ბატონის სახლში გალაღებულ გოგოს ყველაფერი ემძიმებოდა და მალე ისე დაზარმაცდა, რომ ლობიოს შექამანდის შენელებაც-კი ეზარებოდა. მთელი დღე გაბუტული იჯდა კერის ძირას და თავისს რძლებს ეზუზღუნებოდა. რძლებიც ჯიბრში ჩაუდგნენ და გაიმართა ისეთი ქიშპობა, რომ ერთმანეთისათვის პირში სული შურდათ. და ვისაც-კი რძლების გადამტერება უნახავს, ის ადვილად წარმოიდგენს, რა ჯოჯოხეთი გაჩნდებოდა იორდანეს სახლში.

## IV

გაზაფხული იყო. მაგრამ გაზაფხულს-კი არა უგავდა-რა. განუწყვეტელმა ავდრებმა და მუდმივმა სიცივეებმა საშინლად შეაწუხა ს. გარდაშენის გლეხები და მთელი დღე გულხელ-დაკრეფილები შესცქეროდნენ გაავზნებულ ბუნებას. ხვნა-თესვის დრო იყო და ამინდი-კი ხელს არ აძლევდა. წლის სარჩოს მომზადებას დღეიდგან უნდა შესდგომოდნენ და ტაროსი-კი თავისას არ იშლიდა. შესწუხდა მთელი გლეხობა და შიმშილის მომლოდინე მწარედ ოხრავდა.

ერთ დღეს როგოროც იყო გადაიდარა. მზემ ღრუბლებიდგან გამოანათა და გიჟმაჟი ქარი კავკასიონის მთა-გრეხილს ამოეფარა. გლეხებმა პირჯვარი გადაიწერეს და სამუშაოდ მინდორში გაიფანტნენ. იორდანე და მისი ძმებიც საჩქაროდ წავიდნენ ანეულის სახნავად.

მუშის სადილობა მოახლოვდა. შინ დარჩენილმა რძლებმა ჯერ ბევრი იხუხეს, ვინ გააკეთოს ლობიოს შექამანდიო, მერე-კი ჯერის მინდორში წაღებაზედ მოუვიდათ ლაპარაკი. ტასას უფროსი რძალი ყველაზედ კაპასი და ანჩხლი იყო, მაგრამ გულის მობრუნება მალე იცოდა. დღეს-კი რაღაც ღმერთი გაუწყრა და გაკერპდა, მიაცივდა ტასას და აუხირდა, გინდა თუ არა ჯერი შენ უნდა წაიღოო.

— მანამ ნურასა სჭამთ, მანამ ტასამ მინდორში ჯერი არ წიგღოსთ. გაიძახოდა ტასა.

— მაშ რის მაქნისი ხარ სახლში, გაჰკიოდა უფროსი რძალი. ჰო, დიდიკაცის შვილი ბრძანდები და აბა როგორ გეკადრება მინდორში გასვლა.

— მაშ არ იცი, რომ არ მეკადრება? როდის ვყოფილვარ მინდორში, რომ ეხლა წავიდე. ადექი, თავში ქვა იეცი და წაიღე რა,—ეუბნებოდა ტასა და თან ტახტზედ იკალათებდა.

— თავში ქვაც იხალე და მუცელში სამართებელიც, არა შე გომბიო, მე შენგან განა ეგ მეკადრება? ადექი, წამოიკიდე ე ხურჯინი თორე, ღვთის წყალობა მაქვ, მე შენ დღე დაგაყარო; არა, ხო იცი მე შენი!!

— ყურებზედ ხახვი არ დამაჭრა, არა, რა უნდა მიყო. ემანდერა მანდ არ არი ე შენი მომხრე (მეორე რძალი) ე მაგას უთხარი და წაიღებს.

— მე რაღას გადმომწვდი, შე მოჰტოჩიკა. ვერ დაინახა შენმა დასაბრმავებელმა თვალებმა, რომ დღეს მთელი დღე თონეში ვეკიდე! არა დედავ და თვალო, შენ ისეთი ღვთის რისხვა რამა ყოფილხარ, რომ შენ ადამიანის შეცოდება არა გქონია,—წამოწიწმატდა მეორე რძალი და გაკერპებულ ტასას ქოქოლა მიაყარა.

— არა, მაშ რა იქნება მოახლედ ნაგდები გოგოი! კვერი დაუკრა უფროსმა.

ახლა-კი ველარ მოითმინა ტასამ, მოხსნა პირი და რაც ენაზედ მოადგა, ყველაფერი წამოუყაჭა. ასტყდა საშინელი ხმაურობა, ჩხუბი, გაიმართა ლანძღვა-გინება. ამას ვილა ჩიოდა, ერთმანერთს ხელიც წაატანეს. გაბრაზებულმა ტასამ გაიძრო ფლოსტი და უფროსს რძალს თავში სთხლიშა. უფროსს უმცროსი მიეშველა, დაეჭიდნენ ტასას და სულ ბუწუწებიდგან გასცალეს. ძალა-მიხდილი ტასა საშინლად გაჰკიოდა და ფრჩხილებით თავ-პირს აკაწრავდა. ყვირილსა და ხმაურობაზედ მეზობლები შემოცვივდნენ და მოჩხუბარნი რომ დაინახეს, წყევლა-კრულვით გააშველეს.

გათავდა ჩხუბი, მაგრამ დასახიჩრებული რძლები მაინც ილანძღებოდნენ. ყველას სახე დაკაწრული ჰქონდა და სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდათ.

—

ვიდრე მაზლის ცოლები ჩხუბს გაათავებდნენ, მზემ დაისამხრეთა კიდეც და მინდორში მომუშავეთ საშინლად მოშივდათ. ლოდინით გაჯერებულმა მუშებმა ერთ-ერთი მეხრე გამოგზავნეს, რომელმაც დაბრუნებისათანავე იორდანეს უამბო მაზლის ცოლების თავ-გადასავალი და სხვათა შორის, დაამატა, რომ საწყალი ტასა „ბორა ვაშლივით დაუბეჟნიათო“. ამის გამგონე იორდანე აიმრიზა, დაავლო სახრეს ხელი და შინისკენ გამოსწია. სახლში რომ შევიდა, ყვირილით მიჰმართა ქალებსა.

— რა იყო, რა დაგემართათ თქვე ოჯახ-დაქცეულებო, რა ხოლვერა შეგიდგათ. ტასამ რომ თავისს ქმრის ხმა გაიგონა, მაშინვე ზეზე წამოიჭრა და ტირილით მივარდა.

(* იხ. „ივერია“, № 165.

ტექტორი ნუ მოგვაკლებს თავისს ყურადღებას. ფულებს ამ ზაფხულშიაც, როდესაც თითქმის სოფელს არავითარი შემოსავალი არა აქვს, ბლომად ბოჭავს სკოლის კომისია და ახმარს ამ შენობას.

## კორესპონდენცია.

**ახალციხის მაზრა.** საზოგადოდ ახალციხის მაზრა მდიდარია ისტორიული ნაშთები. აქ ბლომად მოიპოვება ძველი ციხეები და ეკკლესიები, რომელთაგან ზოგი ნახევრად დანგრეულია, ზოგიც ხელ-შეუხებელი სდგას. ჩამოვთვლი ზოგიერთ ჩემგან ნანახს ადგილებს: ს. უდე; ეს სოფელი ძველად ქალაქი ყოფილა. აქ არის ორი ძველი დანგრეული ეკკლესია, ორიც მთელი; დღეს მათში წირვა-ლოცვა სრულდება. არის აგრეთვე ერთი ციხის ნანგრევი.

ს. სმადე (ოქროს ციხე). აქ არის ესრედ წოდებული ჯულების მონასტერი, ზარზმის მონასტერი. ს. ხახალო, წყის-ბუსმარეთი, ხვანა, ფოცხოვი, ალი და სხვა... სავსენი არიან ძველის-ძველი ციხე-ეკკლესიებით. ჩვენი ისტორიკოსნი ამ ადგილებს დღემდის ყურადღებას არ აქცევენ. ვარწმუნებ მათ, რომ ბევრს საგულისხმიეროს აღმოაჩენენ ამ ძველ ციხე ეკკლესიებზე. ვარწმუნებ მათ, რომ, თუ რომელიმე კუთხე საქართველოსი საყურადღებოა ძველის-ძველი ნაშთებით, მათ შორის ახალციხის მაზრას საპატიო ადგილი უჭირავს.

ვ. მერაბაშვილი.

## ნამდვილად მომხდარი ამბავი

მიწის პატრონიც მე მწიწკნის,
ჭინჭველაც ჩემი მტერია,
მოხელე მღვდელი და კრი—
ვველა მე შემომცქერია!
ნეტავი გამაგებინა,
როდის-ღა მომასვენებენ?!
ვერ შევესწრობი მგონი,
სანამ არ წამასვენებენ.

რ. ერისთავი.

მზე ჩადიოდა, როდესაც იორზე მეძროხეების ბინას მივადექი. მისვლისათანავე სალამი მივეცი ერთ მეძროხეს, რომელიც მშვენიერ ხის გრილოში იდგა და კარაქსა სდებდა ქილაში. —„ღმერთმა გაცოცხლოს,“ მიპასუხა მან და განაგრძო თვისი საქმე. მე აშკარად შევატყე, რომ ჩემი სიცოცხლის მსურველი რაღაცაზე გაჯავრებული იყო და ჩემი მისვლა არაფრათ ეპიტნავა; მაგრამ რა-კი აღარ შემეძლო უკან დაბრუნება, სიშორის გამო, ჩამოველ ცხენიდგან და იმავე ხის გრილოს ქვეშ წამოვწექი. დიდხან შევყურებდი მეძროხეს, მაგრამ ის შუბლ-შეკრული და ბუტ-ბუტით აკეთებდა თავის საქმეს და როგორც ეტყობოდა ჩემთან ლაპარაკს არ აპირებდა. ბოლოს სიჩუმე ისევ მე დავარღვიე, მივუბრუნდი და ვუთხარ:—„ჩვენი ძროხის ბინა ეს არის და თუ შეიძლება ჩვენი ძროხა მაჩვენე. ეს სიტყვები იყო და იმ კაცმა, რომელმაც აქამდის ასე გულ-გრილად მიმიღო, იგი მოვიდა ჩემთან დიდის ბოდიშით და მითხრა: „მე მეგონა ან მამასახლისისაგან იყავით გამოგზანილი, ან კიდენა არაყი წამოგიღიათ კარაქის შესაგროვებლად. თურმე-კი ჩვენი ჰყოფილხარ. ამ სიტყვებმა, სწორედ რომ გითხრათ, ძალიან გამაკვირვა. რომ ნათლად გამომერკვია საქმე, მივუბრუნდი ჩემს მასპინძელს და ვთხოვე ეამბნა, როგორ თუ არაყი წამომეღოს, ან მამასახლისისაგან ვყოფილიყავ გამოგზავნილი. იმანაც პასუხი არ დამიგვიანა და დაიწყო:

— აბა, შენი ჭირიმე, ხომ მოგეხსენება გლეხი კაცის საქმე, ეს ფოშტი ფული გვაქვ მარტო ჩვენ ოჯახს გაწერილი ორმოც-და-თოთხმეტი თუმანი *), ეს საბალახე, მეველე, „მოხელე, მღვდელი, დალაქი და ვინ იცის, რამდენი ვინმე გვყავს გასასტუმრებელი. მე ამ ძროხის შემყურე ვარ; რაც აქედგან შემომივა, სულ ყველა ხარჯს ამიდგან ვუძლვები; აბა, მოგეხსენება ამოდენა ხარჯს დიდი გაძლოლა უნდა; ამ ხარჯს კიდევ ჯანი გავარდეს, ამას გავისტუმრებდი და კიდევ დამრჩებოდა ჩემი ცოლშვილისთვის საშინაოდ, მარამ ეს რალა ბალაა შენი ჭირიმე, რომ ამ ცხრა მთას იქითაც არ გვასვენებენ. მაგრამ როგორც გვეტყობა, ღმერთს ასე გაუჩენივართ. აქ ერთი მაგრად ამოიხვნეშა და შესწყვიტა ლაპარაკი. მე უფრო ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა და შევეხვეწე დაემთავრებინა თავისი დარდი. როგორც წინად, ახლაც მალე შემისრულა თხოვნა და განაგრძო:

— აი ეხლა ორი კვირა არ არის, „ლესნიჩი“ გახლდათ ჩამოიტანა არაყი, თითო მეძროხეს თითო პაწია ჭიქა დაგვალევინა და სამაგიეროთ კარაქი წაგვართვა. რას უზამ შენი ჭირიმე; თუმცა არ გვინდოდა მიგვეცა, მაგრამ მაგათი მტრობა აბა რა ხელს მისცემს გლეხ კაცს. არ გასულა დიდი ხანი, მოვიდა „აბეჩიკი“, ყარაული და რამდენი ვინმე, ეხლა კიდევ იმათ წაიღეს, ეხლა კიდენ მამასახლისისაგან მოველით, შარშანდელმა მამასახლისმა ხომ ბლომათ შეიძინა ეგრე მთხოვარობით სამასი ცხვარი შეიძინა და რამოდენა ერბო წაიღო ე ბინებიდგან. ამბობდენ, ნასწავლი მამასახლისი-კი არიო! აქ-კი ვეღარ მოვითმინე ამდენი უსამართლობის მოსმენა და უთხარ: სად არიან თქვენი დამრიგებელნი და რატომ არა გპატრონობენ ამ შემთხვევაში,—მღვდლები, იმათ შეუძლიანთ ამხილონ იგნი ვინც ასე უსამართლოთ გძარცვავენ.

— „ეჰ, შენი ჭირიმე, ეხლა ყველას გაგლეჯაზე უჭირავს თვალი, განა შეიძლება მოვთვალო ყველა გასაჭირი, რაც ჩვენს თავზედ ტრიალებს, მაგრამ ღმერთი მოწყალეა, ისეც არ გაგვწირავს, რომ მშველელი არსით გვყავდეს; აი ეხლა, ვენაცვალე იმის გამჩენს, ფარსელანაანთ ტიტიკო *) რომ არის, მშველელი არ არის ჩვენთვის? კაცო, ი რაღაცა დეპო რომ მოიგონა, რა იაფად ჰყიდის ი საქონელს, ღმერთო მადლობა შენთვის, ძალიან-კი შაუწუხა ი მედუქნეებს სული, ღმერთმა აცოცხლოს, რომ ჩვენისთანა კაცს ეწევა; ეხლა ამბობენ, ბანკი უნდა დაუწყოსო და ფული იაფ-სარგებლით უნდა ასესხოსო, მართალია? სიამოვნების ღიმილით დამეკითხა ჩემი მასპინძელი. როცა ჩემგან დასტური მიიღო, განაგრძო: ერთი იმ სომხის ჩამომავლობის მეზობელი რომ მყავ, ერთი იმისგანაც დაგვიხსნას და მის სულს მერე არაფერი გაუჭირდება-რა. რა ულმერთო სარგებლით აძლევს ფულს, კაცო, რომ არ შეიძლება! ამას წინად ერთ თავისს მეზობელს ორი თუმანი ასესხა ერთის წლის ვადით, თავნი და სარგებელი ერთად მიყიდა და 41 მ. დააწერა. ეს კიდევ არაფერი. როცა გზირები ფოსტის ფულის ასაკრებად წავლენ, როგორც ძაღლი, უკან დაედევნება. გზირები რომ შეაწუხებენ გლეხებს, ჩქარა ფული გამოიტათ, თორემ რაც რამა გაქვთ გაგიყიდითო, ის უსირცხვილო ჩემი სომხის ჯიშის მეზობელი გამოტყვრება, მყიდველი მე ვარიდა, რასაკვირველია, „გლეხიც, რაც რამ აქვს, „გასასყიდი მესამედ ფასად უთმობს, რომ აიცილოს გზირების ეგზეკუცია. კიდევ აპირებდა ლაპარაკს ჩემი მასპინძელი, მაგრამ ამ დროს მოსულმა პატარა მეძროხემ, რომელმაც უთხრა, რომ ჩვენი კამბეჩები ყარაულს წაუსხამს და დაბრუნებისთვის კარაქს თხოულობსო, —მსწრაფლ გააწყვეტინა ლაპარაკი. იგი ციბრუტივით წამოვარდა ფეხზედ, დაიჭირა სახრე და ყარაულისკენ ბუტბუტით გასწია.

იორზე სტუმარი.

*) ფოსტის ფული ნამდვილად ორმოც-და-თოთხმეტი თუმანი აქვს ამ ოჯახს გაწერილი, ალბად იმისთვის, რომ ოჯახში მეტად ბევრნი არიან სულ 50 სული იქნება.

*) ეს სახელი მეორე გახლავთ დ. მაჩხანელისა. სოფელში ამ ნაირად ეძახიან.

## რუსეთის ცხოვრება.

რუსეთის ერთს მიყრუებულს მხარეს, მოგვითხრობს გაზეთი „სინ ოტეჩ“. დაიჭირეს უპასპორტო კაცი.

---

— რაღა რა იყო, მომკლეს, მომკლეს ამ პირში სულ გასაწყვეტებმა. განა ამიტომ მომიყვანე, რომ ამათ ეცემნათ არა, მე მეტის მოთმენა აღარ შემიძლია! ვაიმე დედავ, თავი... წელი, ვაი, ვაი! მოვკვდიიი!.. გაჰკიოდა ტასა და თან მდუღარება გადმოსდიოდა. ამის დამნახველ იორდანეს გული ყელში მოებჯინა, აზროვნება დაუბნელდა; მოიმარჯვა იფნის სახრე და რძლებს მიაშურა.

— ერთი, ორი, სამი, სთვლიდა იორდანე, რამდენსაც დაარტყამდა ხოლმე თავისს რძლებსა. კვლავ ერთი ორონ-ტრიალი შეიქნა. ნაცემი რძლები გამოცვივდნენ და ქმრებისაკენ მინდორში მოჰკურცხლეს. იმათმა ქმრებმა რომ გაიგეს, იორდანეს ჩვენი ცოლები უცემნიაო, თითონაც სახრეებით სახლს მოაშურეს და ახლა ძმებს მოუვიდათ საშინელი ჩხუბი. დალეწეს, დაამტვრიეს ერთმანეთი და ვიდრე მთელი სოფელი ფეხზედ არ დადგა, მათ გაშველებას არა ეშველა-რა.

ამ ამბის შემდეგ, რასაკვირველია ძმებს ერთად აღარ ედგომილებოდათ და გაიყარნენ. განაწილების შემდეგ იორდანეს არგუნეს: ერთი ხარი, ერთი ფურ-კამეჩი, ორი პატარა ქვაბი და ერთი დღიური სახნავი მიწა. სახლი-კი სხვა ძმებს დარჩა. ამგვარად იორდანე უჭეროდ დასტოვეს. დროებით მეზობელს შეეფარა და სახლის გაკეთების თადარიგს შეუდგა; სახლის გაკეთებისათვის-კი ფულები დასჭირდა და ჩვენ ნაცნობ ბაღდასარას მოაშურა.

—

— არა, ჩემო ძმავ, მე სადა მაქვს ფულები, რომ შენ გასესხო—ეუბნებოდა ბაღდასარი მის წინ მდგარ იორდანეს და თან ისეთი კილოთი დაასრულა თავისი ლაპარაკი, თითქოს უნდა სთქვას, „გატყუილებ, ფულები ბევრი მაქვს, მაგრამ უდიდსარგებლოდ შავ-ქვასაც არ მოგცემო“.

— აი შენი ჭირიმე, ხუთ-თუმანში სამ კოკა ღვინოს ეხლავე დაგიკვეთამ, სარგებელში და თავნი ხომ თავნია და თავნი. როცა მომთხოვ, მოვალე ვიქმნები უნაკლულოდ დაგიბრუნო,—ეხვეწებოდა იორდანე, გულგრილ ბაღდასარს და მის თვალებში სრული სასოწარკვეთილება იხატებოდა.

— სამი კოკა სარგებლად ძალიან ცოტაა, ჩემო იორდანე. აი ძმაოჯან, დღეიდგან ხუთი თუმანი უნდა დავაბანდო, ე. ი. ჩემთვის მკვდარია, მასის ხუთი თუმანი რომ დუქანში მქონდეს, წელიწადში ათი თუმანის აბაროტს გავაკეთებინებ. მაგრამ რა ბევრი ვილაპარაკო, მე ფული ეხლა ხელში არა მაქვს...

— მაშ, რავქნა შენი ჭირიმე—ცოლ-შვილი ცის ქვეშ მიყენია, ი ჩემმა ძმებმა ხო ისე უსახლ-კაროდ გამომისტუმრეს. ეჰ, რავქნა რა წყალში ჩავარდე! აბა ვილასთან უნდა წავიდე? სასოწარკვეთილებით წარმოსთქვა იორდანემ და გამობრუნება დააპირა.

— მაიცა, ბიჭო, დაუძახა ბაღდასარამ, ერთ რამეს გირჩევ და თუ ჭკვაში მოგივიდეს, ხომ კარგი, თუ არა და შენი ნებაა. იცი რა გითხრა, მოდი ხუთი კოკა სარგებელი იყოს და მე გიშოვი სადმე.

— არა, შენი ჭირიმე, ხუთი კოკა სულ არ გამომივა ი ვენახს და აბა რა წყალში ჩავარდე. ნეტა-კი მოქონდეს, თორემ ვინ ღმერთ გამწყრალი არ მისცემდა. არა შვილოსან, ტყუილი არა ხელისაა, სამ კოკაზედ მეტ ვერ მივცემ.

— ჰო და ენახოთ—უკმაყოფილოდ წარმოსთქვა ბაღდასარამ და სადამოსათვის კიდევ დაიბარა.

—

გაბრუნდა სახლისკენ ხელ-ცალიერი იორდანე, მაგრამ სახლში მისვლისაც-კი ეშინოდა. მისი საყვარელი ცოლი, მისი გულის ამძგერებელი გოგონა ტასია, სწორედ ქასქანჯიელად გარდაექცა თავისს ქმარსა, სულ იბუტებოდა, სულ ცეცხლის პურს აჰმევდა ხოლმე. ბევრ-ნაირად ეცადა იორდანე თავისი ცოლი დაემშვიდებინა, მაგრამ ყოველგვარი დარიგება ამაო იყო. ტასამ თავ-პირი წაიჭამა და სულ იმას აყვედრიდა თავისს ქმარს, ვედრანგი, უშნო რამა ხარო. თუ შემირთე მოიარე კიდეც, თორემ მე შენი გაძლება აღარ შემიძლიაო. იორდანეს ცოტა არ იყოს ეშინოდა კიდეც ამ გვარის მუქარისა, რადგანაც ხედავდა, რომ ტასა თამამად იქცეოდა. პირველ ხანებში რომ სითამამე შენიშნა, ერთი ორი სახრე სწყვიტა კიდეც, მაგრამ ცემით რომ ვერაფერი გააწყო, ისევ დარიგებას მიჰმართა. ასე მიდიოდა დღეები, მაგრამ ტასა თან-და-თან აფთარდებოდა, თან-და-თან წიწმატდებოდა. მოტყდა, დაუძლურდა საბრალო იორდანე და ისედაც მწარე ცხოვრება უფრო გაუმწარდა. მეტი ღონე არ იყო, ცოლს უნდა დამორჩილებოდა—მისი ყურმოჭრილი ყმა უნდა გამხდარიყო. „რა-ვქნა, ნათქვამია, თუ დედაკაცმა გაიწია, ცხრა უღელი კამბეჩი ვეღარ დაიჭერს, გაიფიქრა იორდანემ და მიჰყვა ცოლის ნებასა. რაკი ერთხელვე დაჩიავდა, რაკი ერთხელვე გული გაუტყდა, ვეღარ გამობრუნდა და საქმე იქამდის მივიდა, რომ თუ ოდესმე იორდანე სცემდა ხოლმე ცოლსა, ახლა ცოლი სცემდა მას და როგორც კარგ მოჯამაგირეს ისე იმსახურებდა. დაძაბუნდა საბრალო იორდანე და ცოლისა, როგორც ღმერთისა, ისე ეშინოდა.

— რა ქენი, იშოვე ფულები? დაუღრიალა ტასამ იორდანეს, როდესაც იორდანე ოხვრით შინ შევიდა.

— სად ოხრობაშია, რა-ვქნა სულით და ხორცით ხომ ვერ გავიყიდები.

— რაც გინდა ქენი, თუ გინდა თავში ქვა იეცი და სახლი-კი ამიშენე. უფრო ძალიან დაუღრიალა ცოლმა და მეტის სიბრაზისაგან ცრემლები წამოჰყარა.

საბრალო იორდანეს ენა მუცელში ჩაუვარდა. რაღას იზამდა. გადასწყვიტა ბაღდასარისათვის ულმრთო სარგებელი მიეცა და თავისი ჭირვეული ცოლი-კი დაემშვიდებინა.

V.

გავიდა ერთი თუ ორი წელიწადი. ბაღდასარის ფულებით აშენებული იორდანეს ქდეული ცოტა არ იყოს შეძველდა კიდეც, ასე რომ ტასია ხშირად უსაყვედურებდა ხოლმე თავისს ქმარს შენობის მასალის უვარგისობას. მაგრამ იორდანეს ამის ჯავრი აღარა ჰქონდა. იგი მთლად ფიქრსა და ვარამს შეეპყრო.

სომეხ ბაღდასარს, რომელსაც ერთი პირობა კიდეც გადაუხადა ვალი, რაღაც მანქანებით საჩივარი გაეახლებინა და ერთ საღამოს, აღმსრულებითი ფურცლით ხელში კარებზე მოადგა. მას თან მოჰყვა ჩვენი ნაცნობი ნაცვალიც.

ბინდ-ბუნდი იყო და მინდვრიდგან დაბრუნებული იორდანე თავისს ხელით აზავებდა ლობიო შეჭამანდს. ტასა-კი ტახტზე წამოწოლილიყო და კვნესოდა. ლობიოს ზელით გაჯერებულმა იორდანემ ვეღარ მოითმინა, მიჰვარდა ცოლს და დაუყვირა.

— ადე, შე ოჯახ-დასაქცევო, ე ლობიო შეჭამანდი მაინც გამიკეთე.

— გაიკეთე რა, ვერა ხედავ ავადა ვარ? გულ-ცივად უპასუხა ცოლმა და მხარი იცვალა. ბრაზ მორეულმა იორდანემ ის იყო მოიმარჯვა ციცხვი, რომ ცოლისთვის დაერტყა, მაგრამ ამ დროს გარედგან ხმა შემოესმა: ჰა, იორდანე!

— იორდანე, ჰაი იორდანე; გამოირკვა იგი, ერთი-კი შეუკურთხა ცოლსა და გარედ გამოვიდა.

— გამარჯობა, იორდანე, ცბიერად მიესალმა ბაღდასარი და ხელი გაუწოდა.

— გაგიმარჯოს—აღაჯან, ძლივს წაილუღლუღა იორდანემ და ხელი ჩამოართვა. პატარა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. გაფითრებული იორდანე კედელზე მიჰყრდნობოდა და გული საშინლად უძგერდა. კარგად მიხვდა, რომ ბაღდასარი სასიკეთოდ არ მოვიდოდა მასთან. ბაღდასარიც თავ-ჩაღუნული იდგა, და თითქოს სინიდისი ამხილებსო, ხმა ჩაეწყვიტა; ხოლო ნაცვალს მოეღერებინა კისერი და ხან ერთს უყურებდა და ხან მეორეს. ბოლოს ბაღდასარს მიმართა.

— ჰე, გავათაოთ საქმე—ხომ იცი მოხელე ვარ და არ მცალიან.

— უთხარ რაღა ვა!—ამოიგმინა

დაუწყეს გამოკითხვა: ვინ არის, რა კაცია და სადაურია? მატანტალა არ დაიბნა ამ კითხვებით და მიუგო, რომ იგი პოლიაკოვის ახალშენის მცხოვრებია ივ. ქივოლუპოვი. ამის შემდეგ იგი ციხეში დააპატიმრეს და მერე სამშობლო სოფელში გაგზავნეს. გზაზედ გარდაიცვალა, მას აღმოუჩნდა ფული და საათი. ეს ნივთები გაგზავნეს მის სოფელში და მოუწოდეს მემკვიდრეებს.

მემკვიდრეები ბევრნი გამოჩნდნენ, დაიწყო ჩხუბი და დავიდარაბა. როგორც იყო საქმე გარდასწყდა. ცოლს მცირედი ნაწილი მისცეს, დანარჩენი გარდაცვალებულთ ახლო ნათესავებს გაუყვეს, რითაც მოიმდურეს შორეულნი ნათესავები.

ის იყო მემკვიდრეები შეიყარნენ სამკვიდროს მისაღებად, რომ ამ დროს წამოადგათ მათ თავს ივ. ქივოლუპოვი. ყველანი გაოცდნენ და შეშინდნენ; შეშინდა სოფლის სახალხო გამგეობაც. ერთი წელიწადი გავიდა მას მერე, რაც ტყუილი ივ. ქივოლუპოვი გარდაიცვალა და დღეს ნამდვილი ქივოლუპოვი წამოადგათ თავს.

მცხოვრებლებმა, დიდით პატარამდე, იცნეს იგი იმ ქვეყნით მოსულ ნამდვილ ივ. ქივოლუპოვად, მაგრამ სიაში-კი გარდაცვალებულთა რიცხვშია ჩაწერილი!

დადის ეხლა საწყალი ივ. ქივოლუპოვი თხოულობს, რომ ცოცხლად ჩასთვალონ და არა მკვდრათ; მაგრამ სოფლის გამგეობა, ჩაიხედავს რა სიაში, წაიკითხავს და დუდუნებს:

— შენ ხომ მოჰკვდი, მეგობარო, რაღა გინდა, შენ ხომ გარდაიცვალე; რას გვაცდუნებ, მთავრობამ იცის... მთავრობის წინაამდეგ წასვლა არ შეიძლება... დაგვშტრაფავენ, ძმაო, იქნება ვირის აბანოშიაც-კი ამოგაყოფინონ თავი...

საწყალი ივანე სიხარულით ჩაჯდება ვირის აბანოში, ოღონდ ცოცხლად ჩათვალონ.

—

სახელმწიფო ქონებათა სამიწათმოქმედო სამინისტრო ადგენს პროექტს, რომლითაც ჰსურს დაადგინოს: — მიეცეს მიწები საზოგადო განათლების გამავრცელებელ სასწავლებლებს. ყოველს სასწავლებელს მიეცემა ხუთი სულის ხვედრი ადგილი იმ წესით, რა წესითაც განაწილებულია მიწა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. ხოლო არხანგელისა, სტავროპოლის გუბერნიებში და ბალტის მხარეში, არა უმეტეს თხუთმეტის დესეტინისა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

უცხოეთის გაზეთები ბევრს და ხშირად ერთმანეთის საწინაამდეგო ცნობებსა და ამბებს სწერენ პრინც ფერდინანდის შესახებ; დღეს ამბობენ, რომ ბულგარიის მთავარი რუსეთთან შერიგებას აპირებსო და ამის მიხედვით აწარმოებს პოლიტიკასაო, ხვალ ამბობენ, პრინცი ევროპის სახელმწიფოთა რჩევასა და დარიგებას მისდევსო და სხვა ამგვარი. ბულგარიის საქმე უკანასკნელ დროს ისე დაიხლართა, რომ გასაკვირველი არ არის, თუ გაზეთებიც დაიბნენ. რაც შეეხება კობურგის პრინცს, ალბად არც მას გამოურკვევია ჯერ — რა გზას და მიმართულებას უნდა დაადგეს. პრინცის მდგომარეობა მართალია საშიშიაო, ამბობს ვენის ერთი გაზეთი და შემდეგს დარიგებას აძლევს მას:

პრინცი ფერდინანდი მალე დაბრუნდება სოფიაში და აპირებს გარკვეულსა და პირდაპირს პოლიტიკას დაადგეს. ის გაიმარჯვებს ალბად, თუ დაადგება იმ გზას, რომელსაც ევროპა ურჩევს. იგი რვა წელიწადს იყო ბულგარიის მთავრად, თუმცა რუსეთი წინაამდეგი იყო და არ სცნო მთავრად. მაშასადამე, ამიერიდანაც შეუძლია დარჩეს ბულგარიის მმართველად, ოღონდ დარწმუნდეს, რომ რუსეთთან შერიგების განზრახვა დაღუპავს მას. თუ პრინცი სოფიაში დაბრუნებისთანავე აპირებს შეცვლას უკანასკნელის წლის პოლიტიკისა, აპირებს რუსეთის მომხრეთა პარტიის ბატონობის მოსპობას, თუ ახლავ დაითხოვს პარლამენტს და შეჰკრებს ნამდვილთ მამულის მოყვარეთ, რომელნიც სამშობლოს თავისუფლებას უფრო აფასებენ, ვიდრე რუსეთის წყალობას, მაშინ შესაძლებელია უშველოს თვისს მდგომარეობას და არ დაკარგოს ბულგარიის ტახტი. იმედი უნდა გვქონდეს, რომ ბულგარიაში კიდევ არიან ბევრნი, რომელთაც ესმით, რომ ქვეყანა იმიტომ კი-არ იბრძოდა თავისუფლებისათვის, იმიტომ-კი არ ღვრიდა სისხლი, რომ ოსმალეთის ბატონობა რუსეთის ბატონობაზედ გაეცვალა! მაგრამ შესაძლებელია ჩვენ ვცდებოდეთ. მაშინ პრინცმა უნდა დაკარგოს იმედი და მიტროპოლიტ კლიმენტს დაუთმოს გამარჯვება. მაგრამ პრინცი უთუოდ უნდა შეებრძოლოს რუსეთის მომხრეთ და დაგვანახვოს, რომ მას შეუძლია ტახტის დასაცველად ბრძოლა გასწიოს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჯარის უმეტესი ნაწილი მის მხარეს დაიჭერს. თუ გამოდგა, რომ ჯარიც მისი წინაამდეგია, მაშინაც უნდა იბრძოლოს: ვინ იცის იქნება ამ შემთხვევაში პრინცისა და ევროპის ინტერესები შეერთდნენო.

## უცხოეთის წვრილი ამბები.

—

ცნობილია, რომ იქ სადაც თეთრ-კანიან ახალშენებს აარსებენ, თუ შავ-კანიანთა ტომი სცხოვრებს, იგი ნელ-ნელა ისპობა. მაგალითად ახალ ზელანდიაზედ მაორიები 1840 წელს 80,000 სული იყო, 1892 წელს-კი 40,000. ვიქტორიის პროვინციაში 9,000 ავსტრალიელი 1889 წლამდის 800 შემცირდა. ჰავაის კუნძულის მცხოვრებნი 1778 წელს 300,000 ითვლებოდნენ, ეხლა-კი — 32,000 სულია. შეერთებულს შტატებში ხუთი მილიონი ინდოელი ითვლებოდა; 1890 წელს 245,000 აღმოჩნდა და მალე დადგება დრო, როდესაც ისინი მთლად აღიგვებიან დედამიწის ზურგიდგან, როგორც მაგალითად აღიგავნენ ყარაიბნი.

—

ადელინა პატი, ჯერ ისევ შვიდი წლისა იყო, როდესაც ნიუიორკის ბაღში მომღერლად შევიდა. ამ დროს მისი მშობლები დიდს გაჭირვებაში იყვნენ. პატარა ადელინა იტანჯებოდა, როდესაც უყურებდა მწუხარე სახეს თავისს მამისას. „საყვარელო, მამავ, ნუ გჭირდი მაგ შენს მშვენიერს ულვაშებს ქაიძისთავს, მე გიშველით ოქვენ, მომეცი ნება გავხდე მომღერლად“, უთხრა ადელინამ მამას. მამა ჯერ არა თანხმდებოდა, ბოლოს დასთანხმდა და ადელინა შევიდა ნიუიორკის ბაღში მომღერლად. მალე კაი სახელი დაიმსახურა. ამ დღიდგან იმის მამის ოჯახს გაჭირვება აღარ უნახავს. ძლიერ გაუხარდა პატარა ადელინას, როდესაც მისმა მამამ მისი სიმღერით ნაშოვნი ფულით სახლი იყიდა.

## გასართობი

ცოლი გამოჩენილ საფრანგეთის ტრაგიკოსისა მუნე-სიულისა არა დროს არ მიდის ხოლმე თეატრში, როდესაც მისი ქმარი თამაშობს. „რისთვის უნდა წავიდე, ამბობს ქ-ნი მუნე სიული, ნუ თუ საღამოთიც მოვისმინო იმისი ყვირილი! განა არ კმარა მთელი დღე ბუბუნი მისის ყვირილის სახლში? არა, დიდად გმადლობთ, ჩემთვის ესეც საკმარისია.

—

ერთმა გერმანელმა მეცნიერმა ამისთანა კითხვა მისცა თავისს თავს: როგორ მოიქცევა ის, ვინც შენიშნავს თავისს ჭიქაში ჩავარდნილს ბუზს. მეცნიერმა, მეცნიერული მეთოდის გამოკვლევით, შემდეგი დასკვნანი გამოიყვანა: ამ შემთხვევაში ისპანიელი ლუდის ფასს გადაიხდის და წავა; ფრანგი, ჯერ ბუზს თითებით ამოიღებს ჭიქიდგან, გასჩულეტავს, მერე გაჯავრდება და გამოჭედნიძლავს მოსამსახურეს; ინგლისელი ლუდს იატაკზედ დაჭცევრის და შეუძახებს: ,,ეი, გარსონ, კიდევ ერთი ჭიქა!“ მერე განაგრძობს ლაპარაკს სხვა საგნებზედ; გერმანელი ბუზს ამოიღებს და ლუდს დაჰლევს; ჩინელი ჯერ ბუზებს იგემებს და მერე ლუდს დაუწყებს სმასაო.

## წერილები რედაქციის მიმართ.

—

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ,

---

სომეხმა.

— რა უნდა უთხრა განა თითონ არ იცის, რომ შენი ფულები ჰმართებს იორდანეს და ვალს-კი გადახდა უნდა.

— აკი ერთხელ გადავიხადე, შვილოსა, ათას-ჯერ ხომ არ გადავიხდევინებთ. ღმერთი აღარა გაქვთ-კანკალით წარმოსთქვა იორდანემ და ცრემლ-მორეულის თვალებით ბალდასარს შეხედა.

— რო გადაგეხადნა, ამ კაცს ხომ ისპოლნიტელნო-ლისტ აღარ მისცემდნენ, ჩაერია ლაპარაკში ნაცვალი.

— აბა როდის გადამიხადე, მოწმები მიჩვენე, თუ მოგიცია, ვა, ჩემი ფულები ფულები არ იყო, მაგრამ გლეხ-კაცს სინიდისი ვინ მისცა. მამავ-ჯახ აღება კარგი იცით და გადახდა-კი არა, ვა ხათაა?! ქშენით დაამბოლოვა სომეხმა და აღმასრულებითი ფურცელი უბიდგან ამოიღო.

— ტყუახს რისხამდეს ძელი-ჭეშმარიტი, ოჰო და ანგრე!!

— ვა რას იწყევლები, შე ოხერო, ფული აგილია უნდა მომცე, მე მეტი ლაპარაკი ძალიან მეჯავრება.

— მაშ უნდა დამარჩო! დაიკვნესა იორდანემ და სასოწარკვეთილებით ქვითინი ამოუშვა. ან-კი რაღა დარჩენოდა მეტი. კანონი და სამართალი სომხის ხელში იყო. ისევ ცრემლით თუ მოილბობდა დაჩაგრულის გულის ძგერას.

იმ ღამეს რაღა იქმნებოდა. მეორე დღეს დილა ადრიან ბალდასარმა იორდანე და ნაცვალი დ. ც—ში ჩაიყვანა, იქნება როგორმე მომირიგდესო, მაგრამ იორდანე სულ უარზედ იდგა. გაჯავრებულმა ბალდასარამ აღსრულებითი ფურცელი სოფლის სასამართლოში წარადგინა.

სოფლის სასამართლომ ბევრის ლაპარაკისა და ყაყანის შემდეგ როგორც იყო მოარიგა. იორდანეს თავისი უღელი ხარი უნდა მიეცა სომხისათვის, რომლებიც საღამოთივე დაირეკა ბალდასარმა და სახლში წამოიყვანა. თვალ-ცრემლიანი იორდანე ქვასავით გაშეშებულიყო და ბუტბუტებდა: „ვაიმე ჩემო წიქარა, ვაიმე ჩემო ფარნა, ჩემო მაცხოვრებელნო, ჩემო იმედებო. ვაი, შე რჯულ-ძაღლო, შენა, რაზედ დამღუპეო“, მაგრამ მისი სიტყვები მარტო ტუჩებზედ აკვდებოდა და მდუღარე ცრემლები სახეს უღარავდა.

—

გაღარიბდა, გათახსირდა საბრალო იორდანე და უიმისოდაც დამცირებულს დღიურ მუშაობით უნდა გაეტარებინა თავისს სიცოცხლე. მშიერიდგან თავისს დამჩაგვრელებისათვისვე უნდა მიეყიდნა თავისი ძალღონე და უბარაქო მუშა უნდა გამხდარიყო.

—

მშვენიერი საღამო იყო. გახურებული მზე გადაჰფარებოდა მთას იქით და კავკასიონის მთა-გრეხილიდგან წამონაბერი სიო დასთამაშებდა მწვანედ გადაშლილს ველ-მინდორს. აბობოქრებული და სიცხისაგან გახურებული სოფელი მშვიდად ფშვინავდა, და წყნარად მოდუდუნე რუ კანკალით ჩაუდიოდა ს, გარდაშენის ვენახებს. ერთი ნაკადული-კი დაქანებულიყო ჭალებისაკენ და თავისს ჩანჩქარით აყრუებდა მიდამოს. მის ნაპირზე მდგარი ყვავილ-ბალახი გალაღებული თავებს აკანტურებდა და მოჩუხჩუხე წყლის მომზირალნი სიამოვნებისაგან საყვარლად ბიბინებდნენ. მაღალ კაკლის ხეზედ მოლაღური სევდიახად გაიძახოდა თავისს „ბიჭო გოგიას“, იქვე მახლობლად-კი ბულბული მწარედ დაჰკვნესოდა ბატონიახთ ბაღში გაფურჩქვნილ ვარდსა. ცოტა მოშორებით მოსჩანდნენ ფილოქსერის დასში მომუშავე იმერლები და თავისს „ხელ-ხვავით ბულბულს“ ეჯიბრებოდნენ. ბუნება თან-და-თან წყნარდებოდა, მშვიდდებოდა და ნაძინარევი კეკლუციით მორცხვად იღიმებოდა.

თითქოს ბუნების სიდიადეს გაუტაცნიაო, ბატონის ბაღში მომუშავე იორდანე დაყრდნობოდა თოხსა და ავსა და მავს ფიქრებს მისცემოდა. ვინ იცის, რას ოცნებობდა ბედისაგან დაჩაგრული გლეხი, ვინ იცის რას ელამუნებოდა მისი გარემოებისაგან და უვიცობისაგან ფრთებ მოკვეცილი ოცნება. მაგრამ მაინც უხმოველად იდგა და ფიქრობდა. ვინ იცის, რამდენ ხანს იდგებოდა ასე გაშეშებული, რომ მისი ყურადღება ღობის ლაჟანს არ მიეზიდნა, საიდგანაც გამოჩნდა ერთი ხელ-მარჯვე და მალხაზი გურული, ფილოქსერის დასში მომუშავე, რომელიც თავისს ამხანაგებს წყაროზედ გამოეგზავნათ.

— გამარჯობა შენი, ძმიავ, მიესალმა გურული ღობეზედ გადმომდგარ იორდანეს და პასუხი რომ ვერ მიიღო, ცოტას ხანს შეჩერდა, მერე გაიღიმა და თავისთვის წაიბურტყუნა: „რა აბდლები არიან ეს ვუბედურები აქაური გლეხებიო“ და დასასვენებლად იქვე ქვაზედ ჩამოჯდა.

იორდანე შეიშმუშნა, ერთი ამოიოხრა და ზარმაცად დაიწყო თოხნა. ცოტა ხანს თოხნა და კვლავ შეჩერდა. შეიძლება ისევ ფიქრებში გაბმულიყო, მაგრამ ამ დროს ორღობეში მოძავალი ბალდასარა დაინახა.

ბალდასარი გადამჯდარიყო თავისს ლურჯაზედ და ვიღაცას ხარებს მოერეკებოდა. ამის დანახვაზედ იორდანეს თვალები აენთო, მოაგონდა თავისი ხარები, მოაგონდა ის დამცირება და დაჩაგვრა, რომელიც ამ სომეხმა მას მიაყენა, მოაგონდა თავისი სიღარიბე და აუტანელი ცხოვრება, რომლის უმთავრესი მიზეზი ბალდასარა იყო და გულში ცეცხლი აენთო. ანგარიშ მიუცემლად წამოავლო თოხს ხელი, ვეფხვივით გადაეშვა ღობეზედ და ბალდასარას წინ ჩაუსაფრდა.

აეყუდა იორდანე ბატონიანთ კაკალსა და თან ფიქრობდა. ,,ერთ მაინც ვდრუზამ ამ თოხს თავში, გინდა ციმბირში გამგზავნონო! აგერ ბალდასარიც მოახლოვდა, და ხრინწიანის ხმით ხარებს გაუჯავრდა.

— ვაი შე უღმერთო, ვინ იცის, ვის წაართვი ეგ ხარები! გიხარიან განა? ვაი, შენი, შეხი... ილანძღებოდა იორდანე და თან თოხს იმარჯვებდა. ,,ღმერთო, წმიდა გიორგი ზვარეთისაო, შენ მაპატიე, შენ მომიმართე ხელი და როგორც მემართლებოდეს, ისე გადაახდევინე ამ სომეხსა“. ეძნელება იორდანეს სომხის ცემა, მაგრამ გული ქვეიდგან ამოსძახის: დაჰკა, დაჰკა ნუ გეშინიან, მაგითი მაინც ამოიყარე მაგის ჯავრიო. აი, ცოტა კიდევ და ბალდასარი სამშვიდობოს გავა. მაგრამ ამ დროს აიმაღლა იორდანემ თოხი, ერთი მაგრა დასჭყივლა და დაუშვა თოხი თავში.

— ვაიმე, მომკლეს! წამოიყვირა სომეხმა და ცხენიდგან ძირს ჩამოვარდა. ამ ხმაზედ გურული ფეხზედ წამოიჭრა და თოხით ხელში გაქცეული იორდანე რომ დაინახა, წამოიძახა:

ძაან არ მოახერხა მაგ კაძახმა, მე-კი ვამბობდი, აბდლებია მეთქი — და მივარდა სომეხს წამოსაყენებლად. ამასობაში სხვა მუშებიც გადმოვიდნენ ვენახებიდგან და ცოცხალ-მკვდარი სომეხი ძლივს მოაბრუნეს.

— იორდანემ მომკლა, იორდანემ! გაჰკიოდა სომეხი.

— ვინ იორდანეა? — კითხულობდნენ გლეხები.

— გუთნიდედაანთი — წაილუღლუღა სომეხმა და კვლავ გული წაუვიდა.

მეორე დღეს მთელმა ქვეყანამ გაიგო, რომ ბალდასარას ცემის ამბავი; ზოგს ეგონა მოკვდება კიდეცაო, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. ბალდასარ გევორქიჩი დღესაც ცოცხალია და თავისებურად დათარეშობს. ჩვენი ნაცნობი ნაცვალი რომ არ აწუხებდეს და იორდანეს საქმის გამო გასამრჯელოს არა სთხოვდეს, ბალდასარი დავიწყებასაც-კი მისცემდა იმ უსიამოვნო ამბავს.

საწყალი იორდანე-კი მართლ-მსაჯულების ძალით აქამომდე საპყრობილეშია.

თომაანთ კობა.

1895 წ. მკათათვე.

რომელთაც კეთილ-ინებეს და მეშწეობა აღმოუჩინეს ხეთის ორ-კლასიან სამრევლო სკოლას ფულით თუ წიგნებით. დეკანოზ მიხეილ მეუნარგიამ ხუთი მანეთი, აზ. ალექსანდრე ჯორჯიკიამ ერთი თუმანი, აზ. ხოზონტა კობახიძემ ხუთი მანეთის წიგნები და ხუთი დასტა თეთრი საწერი ქაღალდი, გ. თავართქილაძემ ორი მანეთის წიგნები, გრიგოლ კუტალიას სახსოვრად მისის ამხანაგებისაგან ორმოც-და-ათი ცალი ქართული წიგნი.

ხეთის ორ-კლასიან სამრევლო სკოლის დამაარსებელი—მასწავლებელი ე. შუშანია.

1895 წ. 31 ივლისი.
ს. ხეთა.

---

ნება მიბოძეთ ვაუწყო თქვენის გაზეთის „ივერიის" საშუალებით დიდად პატივცემულს ქართველს საზოგადოებას შემდეგი: მე ამ რამდენიმე ხნის წინად შევუდექი ავტორის ნება-რთვით წიგნის თარგმნას შემდეგის სათაურით: „Самосохраненіе" доктора О. Ретау. ქართულს ენაზედ, რომელსაც ამ ცოტა ხანში კიდევაც დავასრულებ.

სიმონ პ—ძე ჩიქვილაძე.

1895 წ. 29 ივლისს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

4 აგვისტო.

**ბათუმი.** სამხედრო მინისტრი აბასთუმანს მივიდა.

**პარისი,** 3 აგვისტო. აქ მოვიდა დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე.

**ლონდონი.** წაკითხულ სეფე სიტყვაში პარლამენტში ნათქვამია სხვათა შორის, რომ ინგლისთან გარეშე ქვეყნების სახელმწიფონი კარგად განწყობილნი არიან. არსად ისეთი არა არის-რა, რაიცა ევროპის მშვიდობიანობის დარღვევას ემუქრებოდეს. დედოფალს იმედი აქვს ჩინეთსა და იაპონიას შორის მჭიდრო კავშირია დასკვნილი და დიდის ხნითაც. ინგლისი ომის დროს ნეიტრალად იყო. დედოფალი სწუხს იმის გამო, რომ ინგლისის მისსიონერთ ჩინეთში ბარბაროსულად მოეპყრნენ. ჩინეთის მთავრობამ პირობა დასდვა, რომ იგი სასტიკად დასჯის დამნაშავეთ. სეფე სიტყვაში მოხსენებულია სომხეთში სასტიკად მოქმედების შესახებ, რომელმანც შეაძრწუნა საქრისტიანო ერნი და ნამეტურ ინგლისი. დედოფალი მოუთმენელად მოელის ხონთქრის გარდაწყვეტილებას რეფორმების შესახებ, რომელნიც მოითხოვეს ინგლისის, საფრანგეთის და რუსეთის ელჩებმა საერთოდ. არსებითი კანონ-პროექტები ინგლისისა მომავალ სესსიამდე გადადებულ იქმნა.

# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ვ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა,** 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი,** 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიციისა ნავასარდიანი.

(857—1468)

---

ქალის ოქროს საათი
დაიკარგა

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის შენობის ეზოში. მპოვნელს სთხოვენ საათი პატრონს დაუბრუნონ— ხსენებულის ბანკის მსახურს სვიმონას. მპოვნელი ჯილდოს მიიღებს.

(1—1)

---

**გამგეობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა** ამით აცხადებს, რომ 9 აგვისტოს ამა წლისა ბანკის შენობაში, არწრუნისეულს სახლში ფრეილინის ქუჩაზედ, მოხდება მეორე და უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა, ვაჭრობის განუმეორებლად, იმ მამულებისა, რომლებიც ამ წლის 24-სა და 26 ივლისს დანიშნულს ვაჭრობაზედ ვერ იქმნენ გასყიდულნი.

**ქალაქი, მამულები:**

მოდებაძე ლუკა გიორგის ძე: (ვაჭრობით შესყიდულ იქმნა ვალ. გაბრ. მელქუმოვისაგან). ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით, მიწა ზომით $163^{46}/_{100}$ ოთხ-კუთხი საჟ; ქ. ბათუმის მე 4 განყოფილებაში, „მუფთიას" ნაწილში; თავნი ვალი 2677 მან. 69 კაპ., შემოსატანი გარდასახადი 149 მან. 99 კაპ. და სულ 2827 მან. და 68 კაპ.

მონიკი ანდრია გრიგოლის ძე: ორ-სართულიანი ქვის სახლი სარდაფით, მიწა ზომით 126 ოთხ-კუთხი საჟ., 1-ლს ნაწილში, პირველს განყოფილებაში ქ. ტფილისში, ზემო-მოსკოვის ქუჩაზედ; თავნი ვალი 11,547 მან. 15 კაპ., შემოსატანი გარდასახადი 530 მან. 14 კაპ. და სულ 12077 მან. 29 კაპ.

ყაზაროვი დავით კარაპეტას ძე და მინასიანცები: სოფიო არუთინას ასული, ეკატირინა, აიკანდუხტ და ასტღიკ კარაპეტას ასულნი: სამ-სართულიანი ქვის სახლი სარდაფით, სამ-სართულიანი ფლიგელი, ერთ-სართულიანი შენობა და ფიცრული, მიწა ზომით $604^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება; მერვე ნაწილში, ქ. ტფილისში; თავნი ვალი 29,041 მან. 85 კაპ., შემოსატანი გარდასახადი 1282 მან. 97 კაპ. და სულ 30,324 მან. 82 კ.

ჰაჯი აღა ბეგუმ ხანუმა, ქალი მამედ-ჰასან-ხან-სარდარისა; ორ სართულიანი ქვის სახლი ორის მეზონინით, ორი ერთ-სართულიანი შენობა და ხეხილის ბაღი, მიწა ზომით 743 ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც იღმოჩნდება, შაგარის უბანში ქ. ერევანში; თავნი ვალი 7744 მან. 49 კ., შემოსატანი გარდასახადი 350 მან. 82 კ. და სულ 8095 მან. 31 კაპ.—

ერმოლაევი ტიმოთე ივანეს ძე; 2 ორ-სართულიანი სახლი და ერთსართულიანი შენობა, მიწა ზომით 60 ოთხ კუთხი საჟ., 2 ნაწილში ქ. ტფილისში პირველ პარალელურს ქუჩაზედ, თავნი ვალი 7127 მან. 10 კ., შემოსატანი გარდ. 274 მან. 12 კ. და სულ 7410 მან. 23 კაპ.—

**სოფლის მამულები:**

აფხაზი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე: სახნავი, სათიბი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 1,919 დეს. 1390 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის გუბ. და მაზრაში, საგარაკოებში: დრესა, წვერსა და წყრულეთში; თავნი ვალი 17349 მან. 40 კაპ., შემოსატანი გარდასახადი 772 მან. 20 კ., და სულ 18121 მან. 60 კაპ.

ამილახვრები: გიორგი, თემურაზ, კოსტანტინე, ბარბარე, ალექსანდრა, სალომე და მარიამ ივანესენი და ასულნი; სახნავი და საძოვარი ადგილები, მიწა ზომით 657 დესეტ. 1200 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის გუბერნიასა და გორის მაზრაში, ს. კასპის საგარაკოში, თავნი ვალი 5827 მან. 51 კ., შემოსატანი გარდასახადი 305 მან. 64 კ., და სულ 6133 მან. 15 კ.

ანდრონიკოვები: ია და ზაზა დონიკეს ძენი; საძოვარი ადგილები, მიწ ზომით 518 დესეტ. 330 ოთხ-კუთხია საჟ., ტფილისის გუბერნიასა და სიღნაღის მაზრაში, ზიარის საგარაკოში; თავნი ვალი 12,451 მან. 96 კაპ., შემოსატანი გარდასახადი 371 მან. 39 კაპ., და სულ 12,823 მან. 35 კ.

ამირაღოვი აბელ ივანეს ძე; სახნავი, სასახლკარე ადგილი შენობებით და ვენახი, მიწა ზომით; გირავნობის მოწმობით 151 დესეტ. 300 ოთხ-კუთხი საჟ., ხოლო გამიჯვნით, რომელიც 1887 წელს მოხდა, 102 დესეტ. 1440 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში ს. ბრეთში; თავნი ვალი 7639 მან. 60 კ., შემოსატანი გარდასახადი 364 მან. 78 კახ., და სულ 8004 მან. 38 კაპ.

ჩოლოყაევები: რევაზ ალექსანდრეს ძე, ბიძინა ოთარის ძე და ელისაბედ დავითის ასული; სახნავი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 720 დესეტ., ტფილისის გუბერნიაში, თიანეთის მაზრაში, ახმეტის საგარაკოში, თავნი ვალი 7947 მან. 43 კ., შემოსატანი გარდასახადი 276 მან. 94 კ., და სულ 8224 მან 37. კ., და შეღავათიანი შემოსატანი გარდასახადი 56 მან. 90 კაპ., თანასწორად განაწილებული დანარჩენ ოთხ-ნახევარ წელზედ.

ჭავჭავაძე დავით რომანოზის ძე; ვენახი, მიწა ზომით ზედმიწევნით 3 დესეტ. ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში სოფ. მუკუზანში; თავნი ვალი 1800 მან., შემოსატანი გარდასახადი 108 მან. 48 კაპ., და სულ 1908 მან. 48 კაპ.

---

დაიბეჭდა და ისყიდება
წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში

## ცხოვრება
### მეფე გიორგისა

აღწერილი
პლატონ იოსელიანის მიერ.
გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა.
**ფასი ერთი მანეთი.**

---

მე შევისყიდე დ. სამტრედიაში არსებული წიგნის მაღაზია ბ-ნ პეტრე პავლეს ძე გელეიშვილისაგან და მაქვს ამისი ნებართვაც, ვისგანაც ჯერ არს. მაღაზიაში ისყიდება ყოველ-გვარი ქართული და რუსული სასწავლო წიგნები სასოფლო სკოლებისა და აგრეთვე საკითხავი წიგნებიც ქართულს ენაზედ. ისყიდება აგრეთვე ყველა საკანცელიარო ნივთები. წიგნის მაღაზია იმყოფება სპირიდონ სიხარულიძის შენობაში.

პატრონი სამტრედიის წიგნის მაღაზიისა ვარლამ ათანასეს ძე კალაძე.

(4—3)

---

გამოვიდა და ისყიდება
«მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი»
წერილი მ. ჯანაშვილისა.
(60 გვ.. ფასი 10 კაპ.)

---

# ანგარიში

ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოებისა
1895 წლის 1 აგვისტოსათვის.

**საზოგადოებამ დაიწყო მოქმედება 17 ივლისს.**

ა ქ ტ ი ვ ი.

| | | |
|---|---|---|
| I. საზოგადოების კასსა: ნაღდი ფული აქვს | 3,829 | 54 |
| II. უბრალო მიმდინარე ანგარიში საკომერციო ბანკში | 21,493 | — |
| III. ვექსილებით გაცემული ორის ხელმოწერით | 16,000 | — |
| IV. დაბრუნებული ხარჯი | 1 | 10 |
| V. ქონება და მოწყობილობა | 776 | 20 |
| VI. მიმდინარე ხარჯი | 1,397 | 62 |
| მ. კ. | 43,497 | 46 |

პ ა ს ს ი ვ ი.

| | | |
|---|---|---|
| I. საწარმოებელი თანხა, საწევრო გარდასახადის 10%-დგან შემდგარი | 37,735 | — |
| II. ვადით შესანახად შეტანილი ფული | 5,196 | 30 |
| III. აღებული სარგებელი | 566 | 16 |
| საზოგადოებას აქვს შესანახად ქონება 4,500 მანეთისა. | | |
| მ. კ. | 43,497 | 46 |

გამგეობის თავმჯდომარის მაგიერად თავ. ვ. მიქელაძე.
დირექტორი ვ. უიფაანი.
პირველი ბუხგალ. ი. ბრონ-ფონ-ბრენერი.

(1—6.—1).

---

# კელერის
# მჟრის ესენცია

ისყიდება **ყველგან** და **ყველა** გამოჩენილ ვაჭრებთან,
რადგანაც კარგის თვისებისაა ხსენებული
**კელერის ძმრის ესენცია,**
იგი ყველაზედ უკეთესია, სყიდვას დღითი-დღე წინ-სვლა ეტყობა და წარსულს წელს **500,000** ფლაკონი გაიყიდა.

ამიტომ ამხანაგობამ ფასი ძირს დასწია.

იაფ ფასად სხვა წამბაძავებიც ჰყიდიან, მაგრამ იაფად ისყიდება მათი ნაწარმოები იმიტომ-კი არა, რომ ბევრი საღდება, კონკურენციისათვის და ამიტომ წყალში გახსნილია და ნაკლებად აქვს ძალიან ესენციის (ძმრის ამო გემოვნება).

(2—2)

---

# თეთრი და შავი პილპილი

დაფქული, თავ-დაჩვრეტილს კოლოფებში და აგრეთვე ფლაკონებით სტოლისათვის $^{1}/_{32}$ გირვანქიდგან 1 გირვანქამდის, ამხანაგობის ფაბრიკისა

**რ. კელლერ და კº მოსკოვში,**

ისყიდება ყველა გამოჩენილ ვაჭრებთან **ყველგან.**

დაფქულს პილპილში სხვასი რისამე შერევა მოგებისათვის ისეთი ხშირი მოვლენაა, რომ ხშირად დაფქული პილპილი უფრო იაფად ისყიდება, ვიდრე დაუფქველი. ხოლო ამხანგობისა რ. კელლერ და კº-ისა, როგორც ყველამ უწყის, ყოვლად უნაკლულო და საუკეთესოა.

(2—2).

Дозволено цензурою, Тифлисъ 4-го Августа 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.